# საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების შესახებ 2537

## ფაქტობრივი გარემოებები

პირს ბაზრობის ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრებსა და სხვა ობიექტებში იჯარით აქვს გაცემული კომერციული ფართები/სავაჭრო ადგილები სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, როგორც მეიჯარეს, ასევე მოიჯარეებს შეუჩერდათ საქმიანობა, რის გამოც დაიხურა ობიექტები.

საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდში საიჯარო ხელშეკრულება არ გაუქმებულა, ამასთან, მოიჯარეს იჯარის თანხები ამ პერიოდზე არ გადაუხდია.

საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდზე, საიჯარო მომსახურება პირმა არ ჩათვალა მომსახურების გაწევად (მათ შორის უსასყიდლოდ) და შესაბამისად გადასახდებით დაბეგვრის ობიექტად.

## შეფასება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის:

- მე-9(3) მუხლის მიხედვით, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება, თუ იგი განახორციელა საწარმომ, მეწარმე ფიზიკურმა პირმა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში.

- მე-16(2) მუხლის შესაბამისად, მომსახურების გაწევად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის მისივე ნებით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება.

საქართველოს მთავრობის 23.03.2020 წლის N181 დადგენილების:

- მე-5 მუხლის თანახმად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით. ამ მუხლის მიზნებისათვის, საჯარო სივრცე არის როგორც ქუჩებში, ისე გარეთ არსებული ნებისმიერი ადგილი, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელ მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს.

- მე-7 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეჩერდა ნებისმიერი საქონლის/პროდუქტის მიწოდება/რეალიზაცია, გარდა, სურსათის რეალიზაციისა.

იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეული სამეწარმეო საქმიანობა შეჩერებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით (მთავრობის დადგენილებით) მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად, საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდში მეიჯარის მიერ გაწეული მომსახურება არ განიხილება:

- უსასყიდლო მომსახურებად და შესაბამისად გადასახადებით დაბეგვრის ობიექტად;

- მოიჯარის სარგებლად.

## ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადოსამარ თალდარღვევა არ იკვეთება და დამატებით საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ ხდება.

**ანოტაცია**

**,, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში გაწეული უსასყიდლო მომსახურების შესახებ“ N 2537**

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია, საქართველოში **საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში** ცალკეული საქმიანობის შეჩერების პერიოდში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა. კერძოდ, სიტუაციური სახელმძღვანელო განსაზღვრავს საგადასახადო ვალდებულებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ბაზრობის ტერიტორიაზე იჯარით აღებულ ფართში არასასურსათო საქონლით მოვაჭრე სუბიექტებისათვის საქმიანობის შეჩერების პერიოდში, იჯარის თანხის მეიჯარისათვის გადაუხდელობისას, იჯარის მომსახურებას არ მიენიჭება უსასყიდლო მომსახურების კვალიფიკაცია. შესაბამისად, მხარეებისათვის ასეთი მომსახურება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტად (შემოსავლად, სარგებლად) არ განიხილება, ვინაიდან საქმიანობის შეჩერება გამოწვეულია მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად, საქართველოს კანონმდებლობის (მთავრობის დადგენილებით) შესაბამისად.